 მდეილით იხატებოდა ამ გვარივე სურათი იქ შორს, შორს თავის სამშობლოში და გული უდუღდა. „საწყლებო, სამრალოებო, ჩემო
 ცოლშვილო, ჩემო მოხუცებულო დედ-მამავ, ვინ იცის ეხლა
 ოქვენც ეს დღე გაღვიათ, ოქვენც ცეცხლში იწყით და თქვენი
 შეილი, ოქვენი ერთად ერთი პატრონი და მუშა აქ სხვის აოხრე-
 ბაზი ხელებს ვისვრი. ოხი ჩემო პატარა ვასიურკა, სადა ხარჩი ნე-
 რა როდის ველირსები შენ გულში ჩაკერას!“

— ხალხნო, აღამიანებო! მიშველეთ, მიშველეთ გენაცვალეთ...
 მიშველეთ... თ... თ...! საშინელის ხმით ყვიროდა ნუშო და გიგი-
 სავით თმა გაწეწილი, თვალებ გაჭყეტილი, ლოყებს იწიწკილა.

— რა იყო, აღამიანი! რა დაგემართა? ცნობის მოყვარეო-
 ბით გარს შემოერტყა ნუშოს ხალხი და მზათ იყო ნუგეში ეყა.

— ბავშვი დამრჩა სახლში... გოგი, შეილო... ო. ო. თვალი.
 დაუდგა დედა შენს, თვალი დაუდგააა!

თითქო დედის ვაებას ბაჟშემა ხმა გასცა, ცეცხლ მოკიდეს ულ-
 სახლიდან საშინელი წივილი მოისმა.

— ვაიმე, ვაიმე, შეილო! შექვივლა ნუშომ და ცეცხლში გადავა-
 რდნა მოიწადინა, ხალხმა ძლივ ძლივობით შეიმაგრა, უკან გამო-
 აბრუნა.

ყმაშვილის წივილმა შესწყვიტა კაზაკის ფიქრები... ის სანქა-
 როდ მიუახლოვდა სამრალო დედას, მხარზედ ხელი დაადო, თით-
 ქოს სანუგეშებლად და მერე თვეის გძელი ნამაღი თავზედ შეი-

ბორბლა და თვალის დახამძამებამდე ცეცხლში შევარდა. ხალხი გაოცდა. სამარქესებრივი სიჩუმე ჩამოვარდა, ყველამ გულზედ ხელი წაივლო, თვალები დახუჭა. რაღაც საშინელების მოლოდინმა გულები შემცუთა.

— ურა, ურა! შეჰყვირა აფიცერმა და მას ბანი მისცეს კაზაკებმა. ცეცხლ წაკიდებულ კარებში კაზაკი გამოჩნდა, ნაბად ქვეშ აბოლებული აკვანი ეჭირა.

ბარბარე გიურიით მივარდა, კაზაკს დალოცვილ მარჯვენაზედ ემთხვია, აკვანი ჩამოართვა, საჩქათოდ ამოაძრი იქიდან ბავშვი, თვალში გააგორ-გამოაგორა და მერე გულშემოყრილ დედას მიაწოდა.


— შვილო ნუშო, გონს მოდი, ღმერთს მადლობა შესწიჩე!

ცეცხლის წამკიდებელმა ცეცხლი გაგვინდლა, შვილი გადავვირჩინა.

— აა, აა, აა! ღრიალებდა მობრუნებული პატარა გიორგი. ნუ-შო. ნელანელა ტიროდა და სასოებით გულში იკრავდა.

ხალხი ბავშვის გადამრჩენ გმირს თავზალუნული, გაჩუმებული, გაკვირვებით შეჰყურებდა და თითქო არ სჯეროდა, რომ ამ ველურ ხალხ — კაზაკთა შორის, ადამიანის გული ვისმეს შეჩენოდა.

ეკ. გაბაშვილისა.



ეგულო ბავშვი.

გაფრანგელება *)

(მთხოვთ მონაცემისა)

III



ე იმდენი პლანები მაქვს, იმდენი პლანები თავში,
რომ მეშინია, თავი არ გამისკდეს! — ეუბნებოდა
მეორე დილას ჯორჯი ვალლის. ორივე ბავშვი დფ-
რეფანზე იდგენ და მიჩრებოდენ კაბრიოლებს,
რომელსაც ბიძა მათი მიჰყავდა.

— იყი, რა, ვილლი — განაგრძო მან. — ჩეენ მშევნიერათ შე-
გვიძლია ისეთი რამე ვწნათ, რასაც ჩარლსი ვკიცვებოდა თავის თავ-
ზე და სხვა კაცებზე! ხომ არ შეგეშინდება მაგალითათ იმ დიდ
ხეზე შესვლა. რომელიც ტბის ჰირას არია? იშის ქვეშ ისეთი ლა-
მაზი ზამბახებია წყალში!

— არა, არ შემეშინდება! — ცოტა გაბეჭვით უპასუხა ვიღულიმ. — ოღონდა შენ უწინ იდი და ხელი გამომიშვირე. მაგრამ ის ხე
ხომ ძალიან შორს არის არ ჯობს რომელიმე სხვა ხე ამოვირჩი-
ოთ აქ, ჩეენ ბალში, და იმაზე ავიდეთ!

— ოჳ, არა, ეგ სულ არ იდარგება! — მოუგო ჯორჯმა. — არ

*) იხლე „ჯეჯილი“ № XII (1905 წ.).

გახსოვს, ის კაცი, რომელზედაც ბიძია ჩარლსი გვიყვებოდა, ისეთ ხეზე შევიდა, რომლის ტოტებიც წყალს დაჰყურებდენ. აი, მეც სწორეთ იმ კაცივით მინდა მოვიქცე.

— არ ჯობს რომ ვირეინის ვკითხოთ, შეიძლება თუ არა იქ წასვლა? — კიდევ უფრო გაუბედავათ იკითხა ვილლიმ, რომელსაც უნდოდა რამე ნაირათ მოეშლევინებინა ძმისთვის ეს სახუა-თო განზრახვა.

მაგრამ ჯორჯმა მისი რჩევა შეეღველობაში არ მიიღო, და ვილლი იძულებული გახდა მაშინვე მასთან ერთათ გზას გადგომოდა.

ძალიან ცხელოდა, ჯორჯი მხიარულათ მიდიოდა და ზან მირ-ბოდა დიდ ველზე, მხიარულათ ხტებოდა ღობებზე და მესრებზე, პატარა ვილლი კი ამაოთ ცდილობდა არ ჩამორჩენილიყო უკან, ძალიან დაიღალა და ვერაფრით ვერ ახერხებდა ჯორჯსავით მალე სიარულს.

— ჯორჯ, ჯორჯ, მამიცადე! — ბოლოს დაუძახა მან უფროს ძმებს. — ღმერთმანი, აღარ შემიძლია!

ჯორჯი უცებ მობრუნდა და მოირბინა პატარასთან.

— დავიღალე, ჩემთ კარგო ჯორჯიყო! — დაღონებით უთ-ხრა ბავშვა. — ძალიანაც მცხელა... მოდი, სახლში დავბრუნდეთ!

— სახლში დავბრუნდეთ? როგორ? ახლა, როცა ასე ახლოს ვართ ტბასთან? — გაკვირვებით წამოიძახა ჯორჯმა. — ჩა ამბობ, ვილლი? ეგერ, სულ ახლოს არის ტბა. აი, ამ ველის იქით, ყანის მოლომში!

ვილლიმ გაიხედა იქით, საითაც ძმა უთითებდა და უნებლივთ მწუხარეთ თვალი გადავლო უზარ-მაზარ ველს, რომელიც მზისგან მოლათ გადამწვარი იყო.

— კარგი, ჯორჯ! — ამოიოხრა მან. — წავიდეთ!

— იცი რა? ცოტა დაფიქრების შემდეგ წამოიძახა ჯორჯმა. — სელში აგიყვან და ისე წაგიყვან!

უკული ბავშვი

ვილლის ცოტა შეეშინდა იმის გაფონებაზე, მაგრამ წინაღმდევობა მაინც არაფერი არ გამოუცხადებია.

— აი, ამ ლობეზე გადმოხტი, ვილლი, და მერე წაგიყვან, მთელ მინდორს გადაგატარება! — გამოუტადა ჯორჯმა! — იქ, ტბასთან შშვენიერი სიგრილე იქნება, იცი

ორივე ლობეზე გადატენ და მერე ჯორჯმა ვილლი ხელში აიყვანა. ძნელი წარმოსადგენია რა უსიამოენო მდგომარეობაში ჩავარდა ვილლი. ერთი ხელით ჯორჯს ისე წაეჭირა მისთვის /კისერში რომ საწყალი ბავში ძლივსლა სუნთქვადა, მეორით ფეხში ჩაჭრენოდა და საშინლათ ტკენდა. ამასთან ვილლი სულ გულის ხეთქაში იყო მაშინაც კი, როცა ჯორჯი ერთ ადგილს იყო განერებული, კირგათ გრძნობდა, ყოველ წამს შეიძლება ძირს დამახტოსთ. ჯერ ჯორჯი სირბილით გაუდგა გზას. მერე ცოტ-ცოტა უნელა, ბოლოს თითონაც იმედი დაეყარება ვილლის ბოლომდე ოდესმე მიღწევის. მაგრამ, თუმცა სულ ნელა, შაინც განაგრძობდა კიდევ გზას. ჯორჯის მრავალ-ტანჯულ პატარა მსხვერპლს ყვინთვა დააწყებინა, მაგრამ ჯორჯმა ისე მაგრათ მოუჭირა ხელები, რომ ვილლიმ ველარ იიტანა ტკივილები და საბრალოთ შეევედრა, გამათავისუფლეო. იმავე წამს ჯორჯმა ფეხი კურდღლის სორიში ჩაჰკრა და ორივე ძმა მიწაზე გავორდენ.

ჯორჯმა მხიარულათ გადაიხარხარა, ვილლი კი არაფერ სიცოლის გუნებაზე იყო. დაღალულ-დაქანცულს, მას მეტი აღარ შეეძლო და შეეხვეწა ძმას, ლობის ძირიმდის მიმიტანე, რომ იქ დავისვენოთ. ჯორჯმა სურვილი აუსრულა და ჩრდილში დასვა.

— მგონი მართლა ეჯობინება რომ ტბასთან წასულა გადაჭდვათ! — ამოიხრა ცოტა ხნის ფიქრს შემდეგ ჯორჯმა, და ძმას გვერდში მოუჯდა. — საღამოს წავიდეთ, როცა აფრილდება. აშლა რომ ცხელა, მ. ტომ დაიღალე, ვილლი, არა? სიგრილე რომ იყოს! ხომ შეიძლებდი იქმდის მისვლის?

— ჰო, რასაკეირველია! — სწრატათ მიუგო ვილლის. ის მშაო

იყო ყველაფერზე დათანხმებულიყო, ოღონდ ამ წამს განსაცდელი თავიდან აეშორებინა.

— აბა კარგი! — გადაწყვიტა ჯორჯმა. — ამ საღამოს წავიდეთ, ნაჩაიევს. უი, სოკო! სოკო! — უეცრათ წამოიძახა მან და ფეხსერი წამოხტა, სადღაც გაპქანდა.

ერთ წამს შემდეგ ის ამაყათ და თავ-მომწონეო მოპრუნდა ძმასთან, ხელში პატარა სოკო ეკავა.

— შეხედე, ვილლი, რა ლამაზი სოკო! ნეტავი მამა არ წა-სულიყო! ამ სოკოს საღილათ შევაწვევინებდით. ისე უყვარს მა-მას სოკოები!

— პარასკევისთვის შევინახოთ! — ურჩია ვილლიმ. — მაშინ ხომ ჩვენსას ველურები იქნებიან საღილათ!

— მერე ერთი სოკო ვის გააძლებს? — გაიცინა ჯორჯმა. — იცი, ვილლი! მოდი ერთ დილას ადრე მოვიდეთ აქ და მოელი კალათი სოკო მოვკრიფოთ. ადრე, ძალიან ადრე აედგეთ! რა მშვენიერება იქნება!

— მერე ვიჩუნი რომ არ ადგება ჩემ ჩასაცმელათ? — გაუბე-დავათ შეეკითხა ვილლი.

— ვიჩუნი რაფ გვინდა? მე თითონ ჩაგაცმევ! — ანუგეშა ჯორჯმა. — ვიჩუნის ნუ გავაღვიძებთ, ცოლვაა, ძალიან გვიან წვება!

— მართალია, ცოლვაა! — დაემოწმა ვილლი.

— მერე კიდეც ეშინია, სულ ჰეონია, რამე დაგვემართება, თუ ის თან არ წამოგვყვა. რისთვის შევაშინოთ ტყუილა უბრა-ლოთ?

— მართალია, რისთვის შევაშინოთ ტყუილა უბრალოთ! — ისევ დაეთანხმა ვილლი. — ეს რა ისმის, ჯორჯ? — უცებ წამოიძახა მან. — გვეშის? მგონი მამალი ყრვის! მაგრამ არა, მგონი ძროხა ბლავის!

ბავშებმა ყური დაუგდეს, მართლაც, ველზე ბევრი რამ ხმა

ისმოდა; ისმოდა, როგორ ბზულდენ ფუტკრები, ისმოდა როგორ ჭრიჭინობდენ ჭრიჭინები; სადღაც მამალი პყიოდა, სადღაციდან ძროხის ბლავილი მოდიოდა... მაგრამ ვილლის ყურადღება სულ სხვა რასმებზე იყო მიქცეული; ყველა ამ ხმაურიობასთან ერთათ ერთი რამ სხვაც ისმოდა: ქალის ხმა, რომელიც ფრანგულს სიტყვას იმეორებდა.

— ჯორჯ, ვილლი! — იძახოდა ვილაც. — ou êtes vous donc?

— ეს ვირეონია! — წამოიძახეს ბავშებმა და ორივე ფეხზე წამოხტენ.

მართლაც, ეს ვირეინი იყო. დაღალული, გახურებული და გაშიოლებული ვილლი რომ დაინახა, საშინლათ შეწუხდა და თან გაცხარდა, აიყვანა ხელში ჰატარა და სწრაფათ გამოეშურა სახლისკენ, თან ჯორჯს ათასგვარი საყველური გამოუცხადა, უგულო და უკრძანობელი ხარ, ასეთ სიცხეში მარბენინ და ნერიები სულ ამიშალეო. ბოლოს დაეკითხა:

— გავვეთილები? სწავლას სულ ბლარ აპირებდით დღეს? არ იციო, რომ შეა დღეა? რა გვინიათ, რომელი საათია? ჯორჯს საზოგადოთ დროს შესახებ ძალიან არეულ-დარეული ცნობები ჰქონდა ყოველთვის, ამ დღის ხომ საათი არ ახსოვდა, ამა ასეთ საინტერესო სეირნობის დროს საათზე ვინ იფიქრებს?

— მე მგონია, ახლა ათის ნახევარი უნდა იყოს! — წარმოსთქვა მან ბოლოს.

ვირეინიმ ჰასუხის ღირსათაც არ გახადა.

ნასადილებს ვირეინიმ ჯორჯი სასწავლებლით დააჯინა. ეს სასჯელი ვილლისთვის უფრო საგრძნობელი იყო, ვისრე ჯორჯისთვის. ჯორჯს სწავლა სრულებითაც არ ეძნელებოდა და თუ ყურადღებით მოექცეოდა საქმეს, ძალიან მალე ისწავლიდა ხოლმე გაკვეთილებს, ვილლის კი საშინლათ მოწყინდებოდა ხოლმე, როცა მისი ძმა სწავლობდა. მაშინ ის იძულებული იყო ან ნახატებიანი წიგნები ეთვალიერებინა, ან ჰატარა სახლები ეშენებინა ოთახის, იმ



კუთხეში, სადაც ჯორჯი მას ისე ვერ დაინახავდა თუ არ მობრუნდებოდა.

ჯერ ჯორჯმა სცადა დაერწმუნებინა ვირეინი, გაკვეთილების სწავლა ბალში, ხის ძირში სჯობიაო, მაგრამ ვირეინი სულ წინააღმდეგი აზრის გამოდგა. მან კარგათ იცოდა, რომ ოთახში, ვილლისკენ ზურგ-შექცეული, ჯორჯი რასმე ისტავლილა, ბალში კი სამდინარო გასართობი რამ იყო: ძალი კარლო, პეპელები, კალიები, პრიჭინები და უბრალო ბუზებიც კი—ბავში, გაკვეთილს გულს ვერ დაუდებდა.

ჯორჯი დამორჩილდა, მიუჯდა მაგიდას და მწარე ამოხვრით გაშალა წიგნი. ვილლი კუბიკებიდან ციხეების და სასახლეების აშენების შეუდგა. ოთახში სიჩუმე დადგა. მთელი საათის განმავლობაში აღმრავერი ისმოდა, მხოლოთ ხან და ხან ვილლი ხმაურობით დანგრევდა თავის ციხეებს, რომლების ჯორჯისთვის ჩვენება არ შეძლო და თან მწარეთ მოიოხსრებდა. ის მოუთმენლათ ელოდა იმ ბედნიერ წამს, როცა ვირეინი მის ძმას თავისი კლან ჭებიდან გამოუშებდა.

დადგა ბოლოს ეს ბედნიერი წამიც. გრძელებიმ ჯორჯს წიგნი გამოართვა და დამურა, ჯორჯმა კი თავის სკამს უქნი ჰკრა და მხიარული ვაშას ძინილით ყირამალა გადაიარა. ვილლი აღტაცებით გაძქანდა მშისკენ და ორივე გადახვეულები ერთათ გაკოტრიალდენ დატავზე სრულიად კმაყოფილნი თავისი ბედ-იღბალით.

— ახლა ნაჩაიეს ტბაზე გავიქცეთ! — წაუფურჩულა ჯორჯმა ვილლის.

მაგრამ ვირეინის ნაინივეისთვის თავისი საკუთარი პლანები ჰქონდა და ორივე ბავში, ერთ მეტობელთან სტუმრათ წაიყვანა. ის იმან დიასახლისთვის კაბებზე და შლიაბებზე დაუსრულებელი ბაისი გამართა, ბივშებს კი საშინლათ მოწყინდათ. ვილლი იმიდა იქცევდა თავს, რომ პატირა კნუტს ეთამაშებოდა, ჯორჯი კი სკამ-

უგულო ბავშვი

53

ზე უდიდესი მიუხურული და კედელზე მაღლა დაკიდებულ დიდი თოჯინი და ცდილობდა გაეგო, გატენილია თუ არაო. რასიკვირველია, გირჩონიმ მაღლე ჩამოათრია ძირს.

სასლში გვინდნა დაბრუნდენ და ვირეანიმ შაშინვე დააწეინა ვილა-ლი დასინინგბლათ.

ჯორჯი დიდი ყურადღებით ადევნებდა თვეოლს იმას, თუ როგორ ხდიდა ტანისამოსს ვირეანი მის ძმას. სად უხსნიდა ფოლაქებს და სად უშვებდა ზორტებს. ჯერ ისეც დიდი იმედი არ ჰქონდა რომ შეორე დილას კარგათ მოახერხებდა ვილლის ჩაცმას და რომ დაინახა, რამდენი ზორტი იყო მის წელზე ერთმანეთში გადაბლიართული, ხომ სულ გული გაუსევდა.

— მოითმინეთ! — უცებ უნებლიერ წამოიყვინოთ მან. — ვერ შევნიშნე, ქს ზორტი სად მოხსენით!

ვირეანიმ გაკვირვებით შეხედა მის, დაშერტვენილი ჯორჯი სწრაფათ გაიქცა თავის ლოგინისაკენ. საბეღნიეროთ, ვირეანის მზრათაც არ მოსვლია მისთვის ეკიობა, თუ რათ მიიქცია დღეს შენი ასეთი ყურადღება ვილლის ზორტებმა და ფოლაქებმა.

პდ. წერეული.



ძველი ქართველები.

(მთარდილთაფიზი)

I



ვირფასო მკითხველებო! მსურს მოგითხოოთ არა
 ძველი გმირებისა და მეცენების თავგადასავალი; არა
 მათი ზღაპრული გმირობა და მოღვაწეობა. არა!
 ამას სხვა ქართული წიგნებიდანაც შეიტყობოთ: ძა-
 ლიან ბევრია ნაწერი ჩვენი ძველების ვაჟ-კაცობასა
 და მკლავის ღონებზე.

მინდა მხოლოდ გავაცნოთ, თუ სად და როგორ ცხოვრობ-
 დენ ქართველები ძველის-ძველათ; როგორა ჰქონდათ მოწყობილი
 შინაური ცხოვრება; როგორს ღმერთებსა სცემდენ თაყვანს; რო-
 გორ ეპყრობოდენ მეზობელ ერებსა და სხვა.

ჩემი მოთხოობა შექხება იმ დროს, როდესაც ჩვენი ძველები
 ჯერ კადევ წარმართები იყვნენ, ესე იგი ქრისტეს რჯულს არ იც-
 ნობდენ.

იმ დროს მთელი ქართველი ხალხი დასახლებული იყო
 მტკეცისა, არაქსისა, რიონისა და ჭოროხის აუზებში. დასაცლე-
 თით მათ ქვეყანას საზღვრავდა შავი ზღვა, აღმოსავლეთით—კას-
 პის ზღვა, ჩრდილოეთით—კავკასიონის მთა-გრეხილი თავისი
 ორი მწვერვალით—ყაზბეგითა და იალბუზით, ხოლო სამხრეთით
 —მდინარე არაქსი.

შეკლი ქართველები

არაქსის სამხრეთით, ჩვენს მეზობლად, ცხოვრობდენ სომხები და სპარსელები; დასავლეთით, შავი ზღვის გადაღმა, ბერძნები და რომაელები; ხოლო კავკასიონის მთის ჩრდილოეთით ბინა-დრობდენ ნახევრათ მიწის მუშავი და ნახევრათ მოყიალე ხალხები: სკვითები და სარმატები.

ამ ჩვენს მეზობლებში უკელაზე უფრო განათლებულნი იყვენ სპარსელები, ბერძნები და რომაელები. ამათგან ჩვენს წინაპრებსაც ბევრი კარგი რამ ჰქონდათ გადმოლებული. მაგრამ უფრო ხშირათ ეს ერები ერთმანეთს ეჯიბრებოდენ და მაშინ ჩვენს მხარეს ძლიერ ცუდი დრო დაუდგებოდა ხოლმე: ჩვენი ქვეყანა კოზაკით იქ-ყლიტებოდა ამ ძლიერ ხალხთა შორის. ხან სპარსელები დაიპყრობდენ ჩვენს ქვეყანას, ხან ბერძნ-რომაელები; ზოგჯერ კი ჩვენი ქვეყნის ერთი ნახევარი სპარსელებს ეჭირათ, ხოლო მეორე—რომაელებს.

ეს გარემოება ძლიერ ასუსტებდა ჩვენს ხალხს და ხელს უშლიდა თავისუფლათ გაზრდილიყო და განვითარებულიყო.

ასეთი იყვენ ჩვენი ძველი მეზობლები. იგინი ჩვენს ხალხს სხვა და სხვა სახელოთ იცნობდენ. სახელდობრ, იმ ნაწილს ჩვენი ხალხისას, რომელიც სურამის ქედია და შავ-ზღვებს შუა ცხოვრობდა, ბერძნები და რომაელები კოლხებს ეძახდენ; რომელიც კასპის ზღვასა და ალაზანს შუა ბინადრობდა, იმას ალვანელებს უწოდებდენ; ხოლო ალვანელებისა და კოლხების შორის მცხოვრებდებს—ივერიელები ერქვათ.

ამის მიხედვით რომაელებს მოელი ჩვენი ქვეყანაც სამ უმთავრეს ნაწილად ჰქონდათ წარმოლენილი: შავი ზღვისკენ მდებარე ნაწილს ერქვა კოლხიდა (ეხლანდელი იმერეთი, გურია, აჭარა და სამეგრელო); კასპის ზღვისაკენ მდებარეს ეწოდებოდა ალვანია ნაწილი ეხლანდელ კახეთისა, ზაქათალის ოლქი და ბაქოს გურია (ბერნია); ხოლო მათ შუა მდებარეს—ივერია (ეხლანდელი ქართ-

ლი, ნაწილი კახეთისა ალაზნის დასხვლეთით, ნაწილი განჯისა და ერევნის გუბერნიებისა და მტკვრის სათავის მიღმოები).

თვითონ ქართველები კი კოლხიდას ეძახდენ ეგრისს; ივერიას—მცხეთს (ე. ი. მეტების ანუ მესხების ქვეყანას); ხოლო ალვანიას—ჰერ-კახეთს.

ასეთი იყო ჩვენი ძველების ბინაღრობა.

II

წინა თავში შევნიშნეთ, რომ მთელი ჩვენი ქვეყანა სამ უმთავრეს მხარედ იყო დაყოფილი: კოლხიდად ანუ ეგრისად; ივერიად ანუ მცხეთად; ალვანიად ანუ ჰერ-კახეთად.

ამ სამსავე მხარეში დასახლებული იყო ერთისა და იმავე ჩამომავლობის ხალხი—ქართველები.

მთელი ქართველობა დანაწილებული იყო წვრილ-წვრილ თემებად, ხოლო თემები დაყოფილი იყვნენ „სახლებად“ ანუ გვარებად. მაგალითად, მარტო ალვანიში 26 თემი იყო და თვითონ შული თემი კიდევ გვარებად ანუ „სახლებად“ იყო დაყოფილი. ასეთივე დანაწილება არსებობდა ივერიაში (მცხეთა) და კოლხიდაშიც (ეგრისში).

თვითონ შულ „სახლს“ ანუ „გვარს“ ჰყავდა თავისი უფროსი, რომელსაც მამა-ხახლისს ეძახდენ. მთელს თემში რომელი გვარიც პირველობდა, იშისი მამასახლისი თან მთელი თემის მამასახლისადაც ითვლებოდა. ხოლო უპირველესი თემის მამასახლისი ითვლებოდა მთელი მხრის მამასახლისად ანუ მეოდე.

ამრიგათ ქართველ ჰყავდათ სამეფო მამასახლისი: გვარის მამასახლისი, თემის-მამასახლისი და მთელი მხრის-მამასახლისი ანუ მეოდე-მამასახლისი.

იმ დროს, რომელსაც ჩვენ შევეხებით, ქართველებს ჰყავდათ სამი მეოდე-მამასახლისი: ალვანიშისა ანუ ჰერ-კახეთისა; ივერიისა

ძველი ქართველები

ანუ მცხეთისა; კოლხიდისა ანუ ევრიპისა. ამათში ყველაზე უძლიერესი იყო მცხეთის ანუ ივერიის მეფე-მამასახლისი.

ამ მეფე-მამასახლისს სატახტო ქალაქიდ ჰქონდა არმაზ-ქალაქი, რომელიც ებლანდელი წცხეთის მახლობლიათ მდებარეობდა, მტკვრის მარჯვევა ნაპირზედ, კლდის ფერდობებში. წცხეთაში კი იმ დროს მარტო უბრალო ციხე იდგა, მტრისგან თავის დასაცვლად. მას შემდეგ კიდევ ბევრმა დრომ გაიარა, სანამ მცხეთა ქალაქიდ გადაეკიდებოდა. არმაზ—ქალაქი შემოზღუდული იყო სქელი გალავანით, რომელშიაც ალაზ-ალაზ დატანებული იყო კოშკები. ქალაქის შეაგულს კიდევ თავისი საკუთარი კედელი ჰქონდა შემოვლებული, რომელსაც „შილა-ციხეს“ ეძახდენ. ამ შილა-ციხეში იყო მეფის სახლები. მთელი ქალაქი მშევნიერ ქვიც-კირის შენობებით იყო გავსალი; სახლები კრამიტით. იყო დაზურული.

მთელი ეს ქალაქი და მისი ახლო-მახლო ადგილები იმ „ჩვე-რის“ საკუთრება იყო, საიდანაც მცხეთის ანუ ივერიის მეფეები გამოიყიდენ. ამავე გვარიდან გამოდიოდა მეფის მეორე პირი რომელიც მშვიდობიანობის დროს მთავარ—მსაჯულად ითვლებოდა, ხოლო ომიანობაში მთავარ—საჩდლობდა, ე. ი. მთელი ივერიის ჯარს წაუძლებოდა ხოლმე წინ.

როგორც მეფეს, ისე მას მეორე პირს თეოთინ ხალხს ირჩევდა არმაზის მფლობელ გვარისაგან ანუ მეფის-საგვარეულოდან. ჩემიულებრივ მეფედ აარჩევდენ ხოლმე სამეფო გვარის უცხოუკებეს წევრს და წინანდელი მეფის უახლოესს ნათესავს: ბიძას ანუ ძმას და, ძლიერ იშვიათათ, შვილს. მაგრამ, თუ ხალხი ირ მოიწოდებდა, ისე არავის შეეძლო სამეფო ტახტი დაეჭირა.

ამგვარათ, თუმცა მეფობა ერთი გვარის სამემკვიდრეო უფლება იყო, მაგრამ ნახევრათ იყო ხალხის სურვილზედც იყო დამოკიდებული. როცა ხალხს მეფე არ მოიწონდა, ტახტიდან ჩამო-

აფედღდა, ან სამშობლოდან განდევნიდა და მის ნაცელად იმავე საგვარეულოდან უფრო ღირსეულ წევრს ირჩევდა.

იმ მიწვებზე, რომელიც მეფის საგვარეულოს ეკუთვნოდა, დასახლებული იყო რამოდენიმე დამონებული გვარი, რომელთაც „მეფის მონებს“ ეძახდენ. ეს მონა-გვარები ასრულებდნ ყოველგვარ სამუშაოს და სამსახურს, რაც კი სამეფო გვარის შესანახად იყო საჭირო. მართალია, ეს მონები სამეფო გვარის საკუთრებად ითვლებოდნ, მაგრამ არავის ნება არა ჰქონდა იგინი გაუყიდა, გაესაჩუქრებია ან უდანაშაულოთ დაესაჯა და სხვა.

ამათ გარდა იყო კიდევ რამოდენიმე საგვარეულო, საიდანაც „მოგვები“ ანუ იმდროინდელი მღვდლები გამოდიოდენ. ამ მოგვების პირდაპირი მოვალეობა იყო მსხვერპლის წირვა და ღვთის-სამსახური; მაგრამ ამასთანავე იგინი ერთს ძლიერ სამძიმო თანამდებობასაც ასრულებდნ; სახელდობრ მათ მინდობილი ჰქონდათ მეზობელ ხალხებთან მშეიდობიანი ურთიერთობა დაეცვათ, მტრებს შორის შუამავლობა გაეწიათ, ზავი ან ხელშეკრულობა ჩამოეგლოთ და სხვა. ამის გამო სამღვდელო გვარებს დიდი ჰატიისცემა ჰქონდა ხალხისაგან. მეფის საგვარეულოს შემდეგ მოგვების ხაგვარეულოს მეორე ადგილი ეჭირა; მის ხელში იყო მთელი „ხალვთო მიწა“, რომელიც ტაძრების საკუთრებად ითვლებოდა და ზოგჯერ ტაძრის მონებით იყო დასახლებული (მაგალითად, ალვანიაში); ეს მონები სამღვდელოებას ისეთსავე სამსახურს უწევდნ, როგორც მეფებს „მეფის მონები.“

მაგრამ როგორც მეფისა და მოგვების საგვარეულოები, ისე მათი მონები ქართველი ხალხის მხოლოდ მცირე ნაწილს შეადგენდნ. უფლიდესი ნაწილი ქართველებისა სრულიად თავისუფალი გვარებისაგან შესდგებოდა. ეს გვარები მხოლოდ მციროდენ გადასახადს აგზავნიდნ მეფის სალაროში და, როცა ომი დაიწყებოდა, ვალდებული იყვენ, თავისის საგვარეულო და სათემო სარდლების წინამდლოლობით, საომრად გასულიყვენ. დანარჩენ

ძველი ქართველები.

დროს კი მიწის მუშაობასა და სხვა მშვიდობიან ხელობას მისდევდენ. მათ შორის არავინ იყო არც ბატონი და არც ყმა, არც გლეხი და არც აზნაური. თავად-აზნაურობა და ბატონ-ყმობა ჯერ კიდევ არ იყო ჩვენში დაწყებული.

იმ დროს ქართველმა ხალხმა არ იცოდა, რა იყო კერძო საკუთრება; ყველაფერი მთელი გვარის საკუთრებად ითვლებოდა. მთელი გვარი იცავდა ქონებას; მთელი გვარი აგებდა ჰასუხს როგორც მტერს, ისე მოყვარეს; მთელი გვარი გადიოდა სამუშაოდ და გვარივე ინაწილებდა ნამუშევარსაც. ორ კაციაც რომ დაეჭირა რაიმე ნადირი, ხორცი მთელს გვარში უნდა ჩამოერიგებინათ. ყოველი წევრის ანუ გვარი-შვილის ნაშოგნ-ნამუშევარი მთელი გვარისა იყო; პირველს არ შეეძლო თავისი ნაშრომი მარტო თავისთვის მოეხმარებია. საგვარეულო ქონებას თვალყურს ადევნებდა და თავ-თავის დანიშნულებას აძლევდა გვარის მამასახლისი. როგორც მეფედ ირჩევდნ სამეფო გვარის უხუცეს წევრს და გარდაცვალებულ შეფის უახლოეს ნათესავს, სწორეთ აგრეოვე გვარის მამასახლისადაც დგებოდა გვარის უუხუცესი წევრი და წინანდელი მამასახლისის უახლოესი ნათესავი—ბიძა, ბიძაშვილი ანუ ძმა.—გვარის მამასახლისს მუდამ გვერდში უდგა იმავე წესით არჩეული გვარის-ხარდალი, რომელიც მხოლოდ ომიანობის ღროს სარდლობდა; სხვა ღროს კი, როგორც სხვები, იგიც მშვიდობიანს ხელობას მისდევდა.

სწორეთ ამნაირაოვე თემის მამასახლისებს გვერდში უდგენ თემის-სარდლები.

ასეთი იყო ჩვენი ძველების საზოგადოებრივი წყობილება.

III

იმ დროს ქართველი ხალხი თავს ირჩენდა უმთავრესათ მიწის-
 შემახაბით. ამას გარდა მთაში მცხოვრები ივერიელები და ყველა
 ალვანელები მეჯოგბასაც მისდევდენ, ხოლო კოლხებს კარგათ
 ჰქონდათ შესწავლილი სელისაგან ქსოვილების კეთება და ოქრო-ვერ-
 ცხლის გადაღნობა. სელის-ქსოვილს კოლხები უცხოეთშიაც ჰყიდ-
 დენ. კოლხიდური სელი საბერძნეთში განთქმული იყო.

ალავ-ალავ ივერიელები მედვინბასაც მისდევდენ, ხოლო
 ალვანაში ვაზს ხუთს წელიწადში ერთხელ მეტათ არ სეინდებო-
 და გასხვლა და შეყელვა. აქ გარეული ყურძენიც უხვათ მო-
 დიოდა.

მთელი ჩვენი ქვეყნის ტყეები სავსე იყო სხვა და სხვა გვა-
 რის ცხოველებითა და ფრინველებით, ხოლო წყალი—თევზებით.
 ამისგამო იმ დროს ქართველებში ნადირობა და თვეზაობაც იყო
 გავრცელებული.

საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში იმ დროს იერუსალი-
 შიდან გამოდევნილი ურიები ცხოვრობდენ, რომელთაც ჩვენს
 ხალში გჭრისა შემოქონდათ. ჩვენს მხარეზე მაშინ უმთავრესი
 საფაქტო გზა გამოდიოდა ინდოეთიდან კასპის ზღვით, მტკვრით,
 შემდეგ მტკვარსა და შორაპანს შეა ხშელეთით (სურამის ქედი),
 და შორაპნიდან მდ. ყვირილითა და რიონით შავ-ზღვამდე. ვაჭ-
 რებს ჩვენში შემოქონდათ სხვა და სხვა გვარი ნაწარმოები, ხოლო
 ჩვენიდან გამჭონდათ სელი, ოქრო—ვერცხლი, რკინა, თაფლი,
 ფინი და სხვა.

ქართველებს კარგათ ჰქონდათ შესწავლილი სახლებისა და
 ციხე-სიმაგრეების შენება. ივერიაში კრაშიტისა და აკურის გამოწვაც
 იცოდენ; სახლები ხურაოთმოძღვრების თანახმად იყო აგებული;
 ფინ-სიმაგრეები ბლომათ მოიპოვებოდა და ყველანი ჩინებულათ იყვენ

მეული ქართველები

გამაგრებული. ოცნები ქართველებში ხიდგისა და საურმე გზის კა-
თებაც; მარტო რიონზე 120-მდე ხიდი იყო გაკეთებული. ზღვისა
და დიდი მდინარეების პირად მცხოვრები ქართველები ნათენდაშიაც
კარგათ იყვნენ დახელოვნებული.

ქართველების ტანისამოსის შეადგენდა: ნაბღის ქუდი, გრძელი
კაბა და ტყავის ფეხსაცმელები. ომის დროს ქართველები თავზე
იხურავდენ ხის მუზარადს, რომელსაც გარედან ტყავი ჰქონდა გადა-
კრული; ტანი იცვალდენ მსხვილი კანაფისაგან დაწნულს სქელს
ჭავშენს, რომელსაც მტრის ისარი ძნელათ გააწევდა; წელზე ეკი-
დათ სატევარი; მხარზე გადაგდებული ჰქონდათ გრძელი მშვიდედი
და იქვე საისრე, მწვეტიანი ისრებით გატენილი; ყოველ მეომარს
თან ჰქონდა მოკლე ტარიანი და გრძელ-რკინიანი შები ანუ ლაბ-
ვარი დი ხარის ტყავისაგან გაკეთებული მრგვალი ფართი. ასეთი იყო
ძველი ქართველების საჭერველი.

გაჩნდებოდა თუ არა მტერი, ჩვენი ძველები იმ წუთსვე თავს
იყრიცენ სათემო მამასახლისთან და თემის სარდლის ხელმძღვანე-
ლობით გაეშურებოდენ იმ მხრისაკენ, სადაც მტერი ეგულებოდათ.
თუ მტერი ძლიერი და საშიში იყო, ქალები, ბავშვები და მოხუც-
ცები მოებში და ციხე-სიმაგრეში იხიზნებოდენ; თან მიჰყავდათ
შინაური საქონელიც და წერილფეხობა. თუ ვინიცობაა მტერი
მოინდომებდა ამ სახიზნავ ადგილებისაკენ წამოსელის, ქართველები
ბი ზევიდან იწყებდენ დიღრონი ქვებისა და ჯირკების ჩაგორებას,
რომ მტრისათვის გზა შეეკრათ. თუ მტერი აქაც გაიმარჯვებდა,
მაშინ ქალებსა და ბავშვებს უფრო შორეულ ადგილებისაკენ გახიზ-
ნავდენ ხოლმე; მაგრამ, თუ წასასვლელი გზა აღარსაით იყო, საკუ-
თარის ხელით სიკედილს რჩეობდენ, ვინემ მტრის ხელში ტკიცე-
ნავარდნას; დედები თავის შვილებიანა ფრიალო კლდებიდან
გარდებოდენ და ძირს უფსკრულში იჩეხებოდენ. მაგრამ ქართვე-
ლებს ხშირათ არ სჭირდებოდათ, ამ უკიდურესი ზომისათვის
მიემართათ; ჩვენი მთა-გორები იმდენათ მიუდგომელი იყო,



რომ მტერი ვაგლახათ ვერ ჰეყლავდა იქითკენ წმინდას, ან თუ გაბეჭავდა, ხშირათ დიდათ შერცხვენილი და დაზიანებული ბრუნ-დებოდა უკან. სწორეთ ჩვენი აღგილების ასეზმა თვისებამ გადაარ-ჩინა ქართველები სრულიად გაწყვეტას და გაუავვარებას. ამიტო-მაცა, რომ ქართველ კაცს ისე ძლიერ უყვარს თვისი სამშობლო მიწა-წყალი! ამიტომაცა, რომ ჩვენი ხევსური დღესაც პოეტთან ერთათ იმღერის:

არ გავცელი საღსა კლდებისა

უკვდავებისა ხეზედა!

არ გავცელი მე ჩემს სამშობლოს

სხვა ქვეუნის სამთხეზედა“-თ!

თუ მტერი გაიმარჯვებდა, ქართველ მეფისა და მტრის სარ-დლის შორის მოლაპარაკება გაიმართებოდა ხოლმე ზავის პირობე-ბების შესახებ. შუამავლად ჩამოდგებოდენ მღვდლები, რომელნიც ყოველ ღონეს ხმარობდენ მშვიდობიანობა და მყარებიათ და განმე-ორებითი სისხლის ღვრისათვის ხელი შეეშალათ. დამარცხებული ქა-რთველები იძულებული ხდებოდნ მტრისათვის ერთგულობაზე შე-ეფუიცათ და მქეფალი მიეცათ, ყოველი თემიდან თითო კაცი ან მე-ფის საგვარეულოს რამოდენიმე წევრი. ეს მქევლები მტერს თან მიჰყავდა და, თუ ვინიცობაა ქართველები პირობას დაარღვევდენ, მქევლები სამშობლოში დაბრუნებას ვეღარ ელირსებოდენ.

ზოგჯერ ქართველი მეფე მეზობელ მეფეებთან ქაშირის დაჭე-რას მოიწადინებდა. აქაც შუამდგომლად იგივე სამღვდელოება გამოლიოდა. დანიშნულ დღესა და აღგილას ორივე მეფე თავ-თა-ვის ამალით გამოცხადდებოდა; მხლებლები ერთი მეორის წინააღ-მდეგ დადგებოდენ. ორივე მხრიდან გამოდიოდენ მეფეები და უახლოვდებოდენ ერთი-მეორეს. შათან გამოდიოდა სამღვდელო პირი, რომელსაც ამგვარი საქმეები ჰქონდა განსაკუთრებით მინ-დობილი; მეფეები ერთმანეთს მკვლავში გაუყრიდენ, ხო-ლო სამღვდელო პირი ძუით ცერებს ერთმანეთზე მაგრათ შეუკ-

ქართველები

63

რავდათ; როცა ცერების თავში სისხლი ბლობათ შეგუბდებოდა, მღვდელი ორსავე თითს ოდნავ უჩენებოდა, რის შემთევაც მეფები ერთპანეტს ცერებიდან პარაზ ცოტაოდენ სისხლს ამოსწუწნიდენ, ნიშნათ იმისა, რომ დღეის იქით მათ შორის საურთიეროთო კავშირი თვით მათისავე სისხლითაა აღმეცილი და დამტკიცებული. ამ წესს ერქვა „ხელშეკრულობა“ ამგვარის წესით მომხდარ კავშირის დაზღვევა დიდ ცოდვაზ ითვლებოდა, რადგან ძველ ქართველებს სწამდათ, რომ სასულიერო პირის თანდასწრებითა და საკუთარის სისხლით აღმეცილი კავშირი თვით ღმერთებისაგან ნაკურთხი კავშირია, რომლის დამარტივეველს თვითონ ღმერთები მოსთხოვენ პასუხისმა.

IV

დაგვრჩა განსახილველი ძველი ქართველების გონებრივ-ზნეობრივი მდგომარეობა, აღზრდის წესი, გასართობები და სარწმუნოება.

იმ დროს, რომელსაც ჩვენ შევხებით, ქართველები საკმაოთ მაღლა იდგენ გონებრივათ. მაგალითად, მათ უკვე კაი ხნის შემოღებული ჰქონდათ ას—მთავრული (ძველი „ხუცური“) ანბანი, რომელიც ჩვენმა წინაპრებმა არამეულ-ფინიკიურისა და ძველ ბერძნულ ანბანის მიხედვით შეადგინეს. მაგრამ წერა-კითხვას განსაკუთრებით სამღვდელოება მისდევდა. რაც შეეხება დანარჩენს ქართველობას, იგი უფრო მიწის მუშაობასა და ომზე ზრუნავდა. ამის კვალობაზე ახალთაობის აღზრდაშიაც უმთავრესი ყურადღება ისეთს საფარჯიშოებს ჰქონდა მიქცეული, რომელნიც ყმაშვილებს იმთავითვე უვითარებდენ შრომის მოყვარეობასა და სამხედრო ნიჭის, აჩვევდენ ყოველგვარი დანაკლისისა, სიცხე-სიცივისა და შიმშილის ატანას, სხვა და სხვაგვარ დაბრკოლებებთან ბრძოლასა და სხვას. დილით ყმაშვილები სწავლობდენ ისრისა და ჯირითის სროლას, სატევრისა და ფარბმლის ხმარებას, ცხენ და ცხენ ნაფირობას,

შურთობას და სხვას; ხოლო ნასაღილევს ბალებსა და ვენძებში მუშაობდენ, სწავლობდენ შინაური პირუტყვების მოვლასა და სხვას. აღმზრდელი ყოველ ღონეს ხმარობდა, ყმაწვილები ტყუილის ღაპარაქს არ შეჩვეოდენ, ასწავლიდა მათ პირდაპირობას, ზრდილობიან სიტყვაპასუხს, უფროსების პატივისცემას და სხვას.

იმდროინდელი ქართველების გასართობებს შეადგენდა: ჯირითი, ბურთობა, ნაღირობა, როკვა (ცეკვა) და სიმღერა. სიმღერა ჩეგნმა ძველებმა ომის დროსაც იცოდენ: ერთი წამოიწყებდა და დანარჩენები მოსძახებდენ; ამგვარათ მიესეოდენ მტერს და იერიშით იღებდენ ციხე-სიმაგრეებს.

როგორც მიწის-მუშა ხალხი, ივერიელები უფრო მეტ პატავს სცემდენ სინათლისა და შზის ღმერთს, რომელსაც, სპარსელებისა და სომხების მსგავსათ, არმაზს ეძაბდენ. სამაგიეროთ ალვანელები, როგორც მწყემსი საღხი, უფრო მეტათ მთვარის ღმერთსა სცემდენ თაყვანს და მის სახელობაზე ივერიის მახლობლათ ტაძარიც კი შეკრდათ გამართული. თითო ამგვარი ტაძარი არმაზის ქალაქსა და კოლხიდის საზღვარზედაც (აჭარის მახლობლათ) იყო ამართული. მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ არმაზის ტაძარი ცეცხლისა და შზის ღმერთის სახელობაზე იყო აშენებული და არა მთვარისაზე. მაშინდელი ტაძრები ეხლანდელს ირა ჰვავდა. წარმართული ტაძარი წირმოაღენდა რომელსამე მთის ცხეირზე მაღალის კედლით შემოვლებულს საქმით ფართო აღავს, უსახურავოთ. შუაგულზე ამართული იყო საკმაოთ მაღალი „საცეცხლე“, რომელზედაც განუწყვეტლივ ცეცხლი ენთო. ამ ცეცხლს თვალყურს აღევნებდენ „მოგვებია“ ანუ ცეცხლის მსახური მღვდლები. იგინივე სწირავდენ მსხვერპლსაც. სამსხვერპლო პირუტყვს დაჰკლავდენ და გაატყავებდენ; ხორცს მსხვერპლის პატრონსა და იქ დამსწრე მღვდლებს ურიგებდენ; ხოლო ღმერთს მარტო მუცლის ქონის პატარა ნაკერს უტოვდენ, რომელსაც ცეცხლში სწვავდენ. მათის აზრით ღმერთს: მხოლო სულოთ უნდოდა ცხოველებისა და არა ხორცი.



ალვან ელემში აფამიანის მსხვერპლად შეწირუაც იყო ძველი დროიდან ჩვეულებად დარჩენილი. სამსხვერპლოდ გამზადებულ კაცი ერთი წლის განმავლობაში ასუქებდენ; წლის თავზე მიჰყავდით სამს-ხვერპლოსთან; გამოდიოდა ქურუმი და საღვთო ლაშვისა ჩასცემდა მარცხენა გვერდიდან პირდაპირ გულში. როცა მსხვერპლი წაიქცეოდა, წაქცევის მიხედვით იწყებდნენ მომავლის წინასწარმეტყველებას, დამსწრე საზოგადოების გასაგონად. შემდეგ მიცვალებულის გვამს განსაკუთრებულ ალაგზე მიასვერებდან, დამსწრენი გვამს უებით შეეხებოდენ — გავიწმინდებითო, და იშლებოდენ.

მიცვალებულს მშოლოდ ალვან ელები მართვედენ; იყერიელები ს კოლხები კი მარტო დედაკაცების გვამს ასაფლავებდენ, ხოლო მამაკაცებისას ხარის ტყავში აზვევდნ და მაღალ ხეებზე ჰკიდებადენ, ისეთს ადგილას, საღაც კაცის ჭები იშვიათათ მოხვდებოდა. გს ჩვეულება ქართველებს სპარსელებისაგან პქონდათ შეთვისებული.


ასეთი იყო ჩვენი ძეგლების წარმართული სპარსენოება და გასთან მტკიცეთ შეკავირებული აღათ-ჩვეულებანი. ამ რწმენასა და აღათებს მტკიცეთ აღგზნ ძეგლი ქართველები, სანამ რომის იმპერიატორის კონსტანტინე. — ლიდისა და სისიმშეთის შეფის არღატის შეგალითოთ წახალისებულმა ივერიის მეფებ მირიანმა, წმ. ნინოს ხაგონებით, 323 წელს ქრისტეს დამადგების შემდეგ, სამცდა-მოთ არ უარპყო წარმართობა, მის ნაცვლით, ქრისტიანობა შოთლო და თავის ქვეშვერდომებსაც მიაღებინა.

ამის შემდეგ ჩვენი სამშობლო მტკიცეთ შეკავირებით ქრის-ტეს სწავლით განათლებულს ევროპის ქვეყნებს და მათთან ერთ-ოთ მნეთ შეუდგა ახალი რჯულის შეთვისებასა და თვით-განვითა-ჩებას. ძველი ტაძრები დაინგრენ და მთ ნაცვლით აშენდენ ქრის-ტიანული ეკლესიები; მოისპო აღამიან ია და პირუტყვა მსხვერპ-ლად შეწირა; ქართველების გონება თანდათათონ გაიწმინდა ძვე-ლებული ცრუმორწმუნოებისაგან; მწერლობა გამდიდრდა; სამწერ-

ლო ენა განვითარდა; ხალხის ზნეობა მოლბა და, შესაძლოა, ქრისტეს მცნება მალე თვალსაჩინო ნაყოფსაც გამოიღებდა ქართველების ცხოვრებაში; მაგრამ ამას ხელი შეუშალა სრულიად ახალმა და მოულოდნელმა გარემოებამ: ჯერ ქრისტიანობა ჩვენში შემოსული იყო, რომ ჩვენი ხალხის თავისუფალი გვარები ორ უთანასწორო ჯვეფად გაიყვენ; შეძლებულმა და მრავალ წევროვანმა გვარებმა თანდათან მეტი ძალა მოიპოვეს, მეუეს დაუახლოედ დენ და მასთან ერთათ მიჰყვეს ხელი სუსტი გვარების დაჩაგვრასა და დამორჩილებას. ამსახით წარმოდგა ბატონი და ყმა, აზნაური და გლეხი. შემდეგში ეს უთანასწორობა უფრო გაძლიერდა და ქართველი ხალხის უდიდეს ნაწილს თანდათან ხელიდან გამოაცალა თავისუფლება. ეკლესია და ქრისტიანული სამღვდელოება ბოლოს და ბოლოს მშვივე შეძლებულმა გვარებმა (თავად-აზნაურებმა და მეფის სავარეგულომ) ჩაიგდეს ხელში, ყურმოქრილ მონად გაიხადეს და ნები არ მისცეს ქრისტეს მაღალი მცნება (ძმობა, ერთობა და სიყვარული) თავისუფლათ ხალხში შეეტანა და სავსებით გიგხორციელებინა.

ასე დასტურდა ჩვენი ძეველების თავისუფალი ცხოვრება.

ს. გორგაძე.





გამოცანები

კვდება და კიდევ შენობს.

—
თვალში დიდია და სელში არაფერდა.

—
მაღლა ვზიგარ, ვიქევ სელსა,
მოდი მამი შენის მზესა.

ერთი რამე მოვეითანო,
გამოსაცნობათ ძნელია.
საჭმელიც არის, სასმელიც,
სან ტანზედ წასასმელია,
სან წამლათ გარდაგვისცვა.
სანაც სენის ამშლელია.

შ ა რ ი დ ა

(წარმოდგენილი ად. შევერცხილისგან.)

თავს უზის სმოვანი ასო
ბოლო სიტუეისა წევილია,

— მთელი წეალია, შიგ ცხოვრობს
 თუვზი წერილი და მსხვილია.

სამართლიანი მსაჯული.

ერთმა მოხუცებულმა არაბმა სიკვდილის წინ მოიხ-
 მო თავისი სამი შვილი და უთხრა:

— ალლახს ნებავს ჩემი ზეცას აუვანა, მინდა სანამ
 არ მომკვდარებარ ჩემი სარჩო გავინაწილოთ. უფროსს ჯა-
 მლევ ნახევარს მთელი ჩემი მემკვიდრეობისას, შეათანას
 — მესამედს. და უნცოოს კი — მეცხრე ნაწილს. არაბი რომ
 მოკვდა, შვილებს უნდა გაენაწილებინათ სარჩო. არაბის
 მთელ მემკვიდრეობას შეადგენდა 17 აქლემი და როგორ
 გაენაწილებინათ ეს — არ იცოდენ. მიმართეს თავიანთ
 მსაჯულს. აბა, გამოიყანით მსაჯული როგორ გაანაწილე-
 ბდა ამ სარჩოს სამართლიანათ?..



საქმიან კილო ნახატებიანი უკრაინი კულტურული „ჯეჯილი“

წელიწადი მეჩვიდმეტე

გამოვა 1096 წელსაც თვეში ერთხელ უკრაინალში ორი განყოფილებაა: პატარებიხთვის და მოზრდილთათვის.

უკრაინი დღეის იქით გამოვა უცენზუროთ და ეცდება დააკმაყოფილოს ახალი სკოლის მოთხოვნილება.

„ჯეჯილში“ მონაწილეობას მიღებს ყველა ჩვენი საუკეთესო მწერლები. რედაქციასთან დარჩებული კომისია ყოველ ღონისძიებას ხმარობს უკრაინის გასაუმჯობესებლათ.

რედაქცია ეცდება ხშირათ ჩაურთოს ჯეჯილის ნომრებში ნახატები ფერადი წამლებით და აგრეთვე შეძლებისამებრ მ სცეს პრეზიათ სხვა და-სხვა სახიამოვნო და სასარგებლო წიგნაკები

უკრაინი „ჯეჯილი“ მიღებულია თფილისის საეპარქიო და კავკასიის ოლქის სამოსწავლო რჩევებისაგან სასწავლებლების ხამკითხველოებში საკითხაეთ.

უკრაინი „ჯეჯილი“ თფილისში დატარებით ღირს 4 მან. თფილის გარეშე გაგზავნით 5 მან. ნახევარი წლით 3 მან. ცალკე ნომერი 50 კაპ.

ხელის მოწერა მიღება:

1) თბილისში — „წერა-კითხვის გამ. ხაზოგალოების“ კინცელარიაში (Дворцовая ул. д. Груз. Двор., № 101), და თვით „ჯეჯილი“-ს რედაქციაში (Артиллер. ул. № 5, ვიზჭ. Кадетского корпуса).

ფოსტის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію архивного журнала „Джеджили“.

რედაქტორ-გამომტექმედი ახ. თუმ.-წერეთლის

ა. 2140